საქართველოს მთავრობის

დადგენილება №494

2018 წლის 24 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილებაში (სსმ, 2010 წელი, მუხლი 538) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების“:

1. პირველი გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

1	აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის ნებართვის გაცემა (გარდა წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის გაცემისა)	20 სამუშაო დღე 10 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე 3 სამუშაო დღე	უფასო 400 ლარი 800 ლარი 2 000 ლარი

“.

2. 22-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

22	წამახალისებელი გათამაშების ახალი ეტაპის მოწყობაზე თანხმობის გაცემა	3 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	500 ლარი 250 ლარი

“.

3. 24-ე და 25-ე გრაფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

24	აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის პირობებში ცვლილებების შეტანაზე თანხმობის გაცემა	3 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	100 ლარი 50 ლარი
25	აზარტული და მომგებიანი თამაშობების ნებართვაში (ობიექტის ადგილმდებარეობის) ცვლილებების შეტანა	3 სამუშაო დღე 5 სამუშაო დღე	500 ლარი 100 ლარი

„

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს და არ გავრცელდეს იმ პირებზე, ვინც ამ დადგენილების ამოქმედებამდე მოითხოვა დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევა.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**